ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N12

2014 წლის 27 მარტი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში (სსმ, 30.12.2013) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ა) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება“.

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველ მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ო“ ქვეპუნქტი „ო) ახალშობილთა ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება“.

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ა) 18 წელს ზევით ასაკის პირების, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 120 000 მდეა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება“;

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ზ“ ქვეპუნქტი“.

მუხლი 5.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „1. ახალშობილებს, რომლის ერთ-ერთი მშობელი მაინც რეგისტრირებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ან ორივე მშობლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტია და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 მდე გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება“;

მუხლი 6.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 5. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისადმი და დაზარალებულთა დახმარება.

1. აფხაზეთის კონფლიქტისა და სამაჩაბლოში რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახები ერჯერადად თითოეული მიიღებენ ფულად დახმარებას 300(სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო ქ.თბილისში 1989 წლის 9 პრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახები ან/და მოწამლული პირები თითოეული500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეული ოჯახი დამატებით მიიღებს 200 (ორასი) ლარს.

2. ქ.თბილისში 1989 წლის 9 პრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაღუპულთა ოჯახებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. ყოველთვიური დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: ა). წერილობითი განცხადება; ბ). განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გ). გარდაცვალების მოწმობა; დ). გარდაცვლილის დაბადების მოწმობის ასლი; ე). ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ.

4. ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად მოწამლული პირებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

5. ყოველთვიური დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: ა). მოწამლულის წერილობითი განცხადება; ბ). განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გ). შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა; დ) ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ.

6. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე”.

მუხლი 7.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი“.

მუხლი 8.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „2. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ და დაზარალებულ ოჯახთა მდგომარეობას შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახური“.

მუხლი 9.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ 4. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება (გამონაკლის შემთხვევაში ბინის შეძენა) განისაზღვროს არაუმეტეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარისა, ხოლო ბინის ქირის ხარჯი ყოველთვიურად არაუმეტეს 100(ასი) ლარისა.

მუხლი 10.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „1. მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფ ოჯახებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-მდე გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში (უბედური შემთხვევა,მძიმე ავადმყოფი, ოჯახები რომლებიც დახმარების თხოვნის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდის უკიდურეს გასაჭირს) სარეიტინგო ქულის გარეშე.

მუხლი 11.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლიდან ამოღებულ იქნას „მე-2“ პუნქტი.

მუხლი 12.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 12. 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება“.

მუხლი 13.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „3. .ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ მე-12 მუხლით

გათვალისწინებული დახმარებით მათზე ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება, გარდა კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის შემთხვევისა“.

მუხლი 14.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-13 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „მუხლი 13. მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარება“.

მუხლი 15.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი“.

მუხლი 16.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ვ“ ქვეპუნქტი.“

მუხლი 17.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ე“ ქვეპუნქტი.“

მუხლი 18.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „1. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 57001 და 150 000- მდე ან მათი სარეიტინგო ქულა 57000-ზე ნაკლებია, მაგრამ არ სარგებლობენ სოციალური დახმარებით გაეწევათ ყოველთვიური ფულადი დახმარება“.

მუხლი 19.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე